ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2851229

ნომერი: AR1440903

თარიღი : 15.09.2016

გაცემის თარიღი : 30.09.2016

გაცნობის თარიღი : 30.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 27გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ნადირაშვილი პ/ნ 01024035369
- ბახტრიონის ქ.#13

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" კოდი: 205243823

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 15 სექტემბრის №AR144090 განცხადებით მომართა ვაჟა ნადირაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.015.031) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა დაფიქსირებული საოფისე ფართობი. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობი ნაცვლად 1332.3 კვ.მ-ისა 1328.1 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი საოფისე ფართობის მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მაჩვენებლის შეცვლა, ასევე გამოიწვევს 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც, ცვლილების შედეგად, შეადგენს 14390.9 კვ.მ.–ს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საოფისე ფართობი (კვ.მ).:1328.1, საერთო ფართობი (კვ.მ).:14390.9. სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 დეკემბრის №1044652 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.